ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

კვირა, 28 თებერვალი, 1943 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 6 (282). ფასი 30 კაპ.

## უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას გამარჯვებისაკენ მივყევართ

დაძაბული ყურადღებით მოისმინა მთელმა საბჭოთა ხალხმა უმაღლესი მთავარსარდლის — დიდი **სტალინის** ბრძანება წითელ არმიის 25 წლისთავის შესრულების გამო, საფუძვლიანად შეისწავლა და მიიღო იგი თავის სახელმძღვანელო პროგრამად. ამ ისტორიულ ბრძანებაში დიდმა ბელადმა ნათლად და გარკვევით შეაჯამა წითელი არმიის მიერ ომის 20 თვის მანძილზე განვლილი გზა და სრული სიცხადით განსაზღვრა საბჭოთა ხალხის, მისი არმიის ამოცანები ვერაგ მტერზე სრული გამარჯვების მოსაპოვებლად.

უმაღლესმა მთავარსარდალმა **სტალინმა** სრული სიღრმითა და სიზუსტით ახსნა იმ ცვლილებათა მიზეზები, რომლებიც სამი თვის განმავლობაში მოხდა და რომელთაც მოჰყვა გერმანულ ფაშისტური ჯარების სასტიკი დამარცხებანი და ჩვენი წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებანი. ფაშისტური გერმანია სულ უფრო და უფრო იფიტება, უფრო სუსტი ხდება, საბჭოთა კავშირი კი ეწევა თავისი რეზერვების სულ უფრო და უფრო გაშლას და უფრო ძლიერი ხდება. გერმანიამ დაჰკარგა უამრავი ტექნიკა და ცხრა მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათგან ოთხი მილიონი მოკლულთა სახით, გერმანიამ დაჰკარგა თავისი არმიის საუკეთესო საკადრო შემადგენლობა, ამავე დროს წითელი არმია კი გახდა კადრის არმია. წითელმა არმიამ ისწავლა მტრის წინააღმდეგ აუცდენლად დარტყმა, წითელი არმიის ასიათასობით და მილიონობით მებრძოლი თავისი იარაღის ოსტატი გახდა. წითელი არმიის სარდლობა დაეუფლა სამხედრო მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას — სტალინურ სტრატეგიასა და ტაქტიკას. მთლიანად „წითელი არმია გადაიქცა ჰიტლერელთა ჯარების წინააღმდეგ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლის არმიად, იმ ძალადობისა და დამცირებისათვის შურისმგებელთა არმიად, რასაც გერმანელი ფაშისტი არამზადები აყენებენ ჩვენს ძმებსა და დებს, ჩვენი სამშობლოს ოკუპირებულ რაიონებში“ (სტალინი).

ომის 20 თვეში გაწრთვნილმა და დაოსტატებულმა ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა ზედიზედ აგემა გამანადგურებელი დარტყმა ჰიტლერელთა ურდოებს. სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში წითელმა არმიამ მტრისაგან გაანთავისუფლა ვორონეჟისა და სტალინგრადის ოლქები, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩრდილოეთ-ოსეთის, ყაბარდო-ბალკარეთის და ყალმუხთა ავტონომიური რესპუბლიკები, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეები, ჩერქეზეთის, ყარაჩაისა და ადიღეს ავტონომიური ოლქები, თითქმის მთელი როსტოვის, ხარკოვისა და კურსკის ოლქები. ამ დიდმა გამარჯვებამ უჭკნობი სახელი მოუხვეჭა წითელ არმიას და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა გერმანელ ფაშისტთა არმიების სრულ დამარცხებას. უმაღლესი მთავარსარდალი გვაფრთხილებს, რომ მტერმა დამარცხება განიცადა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ძლეული, მას კიდევ შეუძლია ღონე მოიკრიბოს ახალ-ახალი ავანტიურებისათვის. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლა ჯერ არა თუ დამთავრებულა, იგი ეხლა ფართოვდება. წითელ არმიას ჯერ კიდევ წინ უდევს სასტიკი ბრძოლების გზა— მან უნდა გაანთავისუფლოს უკრაინის დარჩენილი ნაწილი, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდავეთი, ყირიმი, კარელია. ეს ბრძოლა მოითხოვს დროს, მსხვერპლს, მთელი ჩვენი ძალების დაძაბვას, ამიტომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ მივეცეთ უზრუნველობას, უდარდელობას.

ბელადის ეს ბრძნული გაფრთხილება მუდამ დღე უნდა ახსოვდეს ყველა საბჭოთა პატრიოტს, მით უფრო ყოველ საბჭოთა მწერალს. ყოველ თავის გამოსვლებში — ზეპირსიტყვიერი იქნება იგი თუ წერილობითი, ლექსის სახე ექნება ამ გამოსვლას თუ ნარკვევისა ან პუბლიცისტური წერილისა, საბჭოთა მწერალი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებში უნდა ამაგრებდეს და ამტკიცებდეს იმის შეგნებას, რომ სასტიკი ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან, მათ გასანადგურებლად და მოსასპობად, მხოლოდ ახლა ფართოვდება და ჩაღდება, რომ კვლავ საჭირო და აუცილებელია განუწყვეტელი დაძაბული, თავდადებული მუშაობა სახალხო მეურნეობის ყოველ რგოლში, სამეურნეო და კულტურული ფრონტის ყველა უბანზე. თავის სააგიტაციო, საპროპაგანდო მუშაობაში მწერალსაც მტკიცედ უნდა ახსოვდეს **ლენინის** ანდერძი: „პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოყოჩოთ, მეორე საქმეა განვიმტკიცოდ გამარჯვება, მესამე—საბოლოოდ მოვსპოთ მოწინააღმდეგე“.

ამას გვავალებს ჩვენ უმაღლეს მთავარსარდლის **სტალინის** ბრძანება, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს რწმენას საძულველ მტერზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში, და რომელიც არის ახალი მგზნებარე მოწოდება შემდგომი გმირული საქმეებისათვის ფრონტზე და ზურგში.

დიდი **ლენინის** უკვდავი დროშით, დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით წინ გამარჯვებისაკენ!

◆

## „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“

ჩვენი გაზეთის რედაქციამ მიიღო გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ მიერ გამოცემული ლექსების კრებული „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, ეს არის წიგნი მესამე, მიძღვნილი წითელი არმიის 25 წლისთავისადმი. კრებულში მოთავსებულია ა. აბაშელის, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, შ. აფხაიძის, მ. ბარათაშვილის, კ. ბობოხიძის, დ. გაჩეჩილაძის, ვ. გორგაძის, ი. გრიშაშვილის, ს. ერთაწმინდელის, ს. ეულის, ი. ვაკელის, ხ. ვარდოშვილის, იასამანის, კ. კალაძის, გ. კაჭახიძის, გ. ლეონიძის, ალიო მაშაშვილის, ილო მოსაშვილის, ა. საჯაიას, ს. თავაძის, ა. ქუთათელის, გ. ქუჩიშვილის, ს. ჩიქოვანის, გ. ცეცხლაძის ახალი ლექსები. წიგნი, რომელიც შეიცავს 85 გვერდს, გამოცემულია ი. აბაშიძის და რ. გვეტაძის რედაქციით და ღირს შვიდი მანეთი.

## „ქართლის ცხოვრება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა.

„ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ნუსხა 1913 წელს აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა. იგი უძველესი ხელთნაწერია, რომელიც თავის დროზე გადაუწერიათ ანა დედოფლის დავალებით.

ი. ჯავახიშვილმა ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“ აღიარა უდიდეს განძად ჩვენი მეცნიერებისათვის. ეს ხელთნაწერი შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ სხვა ხელთნაწერებშიც შეტანილი პირველი ხუთი საისტორიო ძეგლის (ლეონტი მროველის „ცხორება ქართუელთა მეფეთა“.., ჯუანშერის „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“, „წამება არჩილისა“, „მატიანე ქართლისაი“, და „ცხორება მეფეთა-მეფისა დავითისი“) უძველეს, მე-15 საუკუნის ბოლო წლებში (1479–1496 წლებში) გადაწერილ ნუსხას და აქამდე უცნობ „ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს“.

ანა დედოფლისეული ხელთნაწერების მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილმა 1927 წელს, სახელდობრ ხელთნაწერის 412–425 გვერდებზე მოთავსებული „ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე“, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხაში არ მოიპოვება, ხოლო ხელთნაწერის ძირითადი ნაწილი (1–412 გვ.) დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული ცალკე პუბლიკაციის სახით.

ვინაიდან ანა დედოფლისეულ ხელთნაწერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის, სწორედ ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ინიციატივით იგი მოამზადა გამოსაცემად ამ ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილებამ პროფ. სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტექსტის სრულყოფილად გამოცემისათვის, როგორც ირკვევა ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიური განყოფილების მიერ დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული.

გამოცემას დართული აქვს რედაქტორის წინასიტყვაობა, ი. ჯავახიშვილის „ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“ (ამოღებული ი. ჯავახიშვილის წიგნიდან: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I: ძველი ქართული საისტორიო მწერლობა), ს. ყაუხჩიშვილის „ქართლის ცხოვრება და მისი ანაეული ხელთნაწერი“, საკუთარი სახელთა საძიებელი და სხვ.

წიგნი გამოცემულია ლამაზად, ფასი 30 მან.

## პოეტების სექციაში

ამ დღეებში კალე ბობოხიძემ მწერალთა წრეში წაიკითხა თავისი ახალი ლექსები, რომლებიც პოეტს უმთავრესად სამამულო ომის პერიოდში დაუწერია. ლექსების თემაა— სამშობლოს სიყვარული, ჩვენი ხალხის გმირობა გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ.

ლექსების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დ. სულიაშვილმა, შ. აფხაიძემ, ა. ადამიამ, ს. ავჩიანმა, მ. ბარათაშვილმა და ი. გრაშაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს ლექსების აქტუალობა და გულწრფელობა, ამავე დროს მიუთითეს ავტორს, რომ ზოგიერთ ლექსში მას გამოყენებული აქვს გაცვეთილი სახეები, მრავალჯერ ცნობილი შედარებები, სტანდარტული რითმები. პოეტი მრავალ ლექსში მოყოლითი მეთოდს მიმართავს.

პოეტმა კ. ბობოხიძემ თავის საბოლოო სიტყვაში მიიღო ამხანაგების ზოგიერთი შენიშვნა და აღუთქვა, რომ ამ ლექსების წიგნად გამოცემამდე გადაამუშავებს და ისე წარუდგენს მათ მკითხველ საზოგადოებას.



„გადაუხდით“.

ნახ. ელენე ახვლედიანისა.

## დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

### მარიკა მიქელაძე

კვლავ ნახა თვისი სოფელი, მშობლიურ ვარკვლავთ კაშკაში, —
ოჯახში შვილი მოვიდა, ერთი წლის გადაკარგული.
კვლავ დაუბრუნდა თვის კერას ლაშქრად წასული ვაჟკაცი...
აქ დედა იყო მოხუცი, ვაშლის ხე მისი დარგული,
აქ იყო მზე და სიცილი, სილაღე დაუძლეველი,
თეთრით მოსილი სახლები ნათობდნენ პატარძლებივით.

ეხლა?... თოვლია წითელი, მკლავდალეწილი არყები,
მოხუცთა, ბავშვთა გვამები, ცეცხლში შეძრული მორებად,
სისხლი და გაპარტახება, ველურთა ნაკარნახევი,—
სითაც არ უნდა გახედო, იგივე განმეორდება!
წითელ თოვლს უცქერს ვაჟკაცი, კედლებს და კარებს მოთელილს...
უცქერს და ველარ უცვნია ივარქმნილი სოფელი!

ამ სახლში სითბო დგებოდა ტკბილად მომღიმარ დედისა.
იგი შვილს დიდხანს ელოდა, და როს შვილს მოსვლა ეღირსა,
ვერ ხედვენ დედის თვალები, ვერც დედის გული ხალისობს.
აქ მხოლოდ სხეული არის დილით ჩამომღრჩვალ ქალისა.
თავს გადაიქნევს ვაშლის ხე, სიოსგან გადარხეული,
ნაყოფის ნაცვლად მის ტოტებს ჰკიდია დედის სხეული...

კვლავ გამწკრივდება ქუჩის პირს თეთრი სახლების კრებული,
კვლავ აყვავდება ვაშლის ხე, ვაშლი მოესხმის შაქრული,
გაიცინებენ კედლები, შეფეთქილ-შეთეთრებული,
მაგრამ... ვერ მოვა მოხუცი, თეთრ ხილაბანდით წაკრული,
ვერ შეუდგება ღიმილით შვილისთვის ვახშმის მზადებას,
სულში სითბოდ ვერ იფეთქებს დედის თვალების ნათება!
და, სახლის ჩონჩხთან დამდგარი, უსიტყვოდ ფიცავს ვაჟკაცი:
— დედავ, ეს ჩემი მახვილი არ ჩაეგება ქარქაშში,
არც გამახარებს დილის მზე, არც ბინდში ვარსკვლავთ კაშკაში,
არც გავიცინებ გულღიად ლამაზმანების ლაშქარში,
არც დავიძინებ გულმშვიდად, არც დავნაყრდები მადიან,
სანამ ჩვენს წმინდა მიწაზე მურტალთ ფეხები დადიან!

ქუდ-მოხდით იდგა. ქერა თმას ქარი სისინით უშლიდა,
მეთაურის ხმა მოესმა სახე-დაღარულ ქუჩიდან.
შებრუნდა, დარდი მალალი. გულის სიღრმეში მიმალა
და ლაშქარს გაჰყვა მხარდამხარ, დასავლეთისკენ მიმავალს.

## ფრონტელის დღიურიდან

### რევაზ მარგიანი

### ტყვე

აღარ თოვს. სუსხი დგას ზამთრის,
სუსხი დგას, ყველაფერს თოშავს
და ქარი თოვლის ფიფქს აყრის
ბრძოლებში შერუჯულ დროშას.

აღარ თოვს. მიმწუხრა წამით,
ბუნებამ ხომ ასე იცის.
შტაბში ვართ, მოდიან სამნი,
შემოჰყავთ დამფრთხალი ფრიცი.

ის წედან გზისპირად ნახეს,
ხაფანგში გაება უცებ,
ფრიცს—მელას მიუგავს სახე,
თრითინას გული-კი უცემს.

ჩამოჯდა. დაღუნა თავი
სიზმარი აუხდა ცხადი,
სარკმლისკენ მოავლო თვალი
ხედავს რომ გუშაგი დადის.

ფრიცს ფოტო უპოვნეს ერთი
და ახლა დაძვრენას ნატრობს,
სურათზე:—შენობის გვერდით
დოინჯით ფრიცი დგას მარტო.

გესლიან ღიმილით ხედავს,
თუ როგორ ბრიალებს ალი,
სახლთან სჩანს საბრალო დედა —
წამებით შეშლილი ქალი.

ხედავს, რომ ცას სწვდება ცეცხლი
და მთელი სოფელი იწვის,
ღიმილით შესცქერის მხეცი
დოინჯით დამჯდარა ფრიცი.

ის ახლა აქ არის, იხრავს,
მოწყენით გასცქერის საფლავს,
სურათით ნამდვილად მოსჩანს
ვერაგის სიტყვა და საქმე.

... აღარ თოვს. სუსხი დგას მწველი,
ბუნებამ ხომ ასე იცის.
აქ, შტაბში ბავშვების მკვლელი —
კანკალებს დამფრთხალი ფრიცი.

### ტალღების ბრძოლა

დაბნელდა, ნისლები მქისე
მოედვენ შავი ზღვის ნაპირს,
განახლდა ზღვაური ისევ,
აღელდენ ტალღები მძაფრი.

მე ვხედავ ტალღების შეყრას,
ერთმანეთს ხვდებიან მწყრალად,
ზღვამ ახლა ქოთქოთი შექმნა
ვეება ვეშაპის გვარად.

შეიბნენ გრიგალის ხმაზე
ისე ვით ხვდებიან მტრები,
ტალღები წამოდგენ ყალყზე,
ერთმანეთს ეძგერენ მსხვრევით.

შეიბნენ ისე, ვით გუშინ
ჩვენ მტრებთან მოგვიხდა შეხლა,
ისე ვით მეომრის გულმა—
ტალღებმა შეიგრძნეს ახლა,

რომ ერთი მტკაველი სივრცე,
ვით ჩვენთვის მტკაველი მიწის,
მოკვდეს და არავის მისცეს,
სამშობლოს ხომ მისცეს ფიცი.

და ჩვენი მხარე კვლავ იბრძვის
უცვლელად დატოვოს რუკა,
სამშობლო დაიცვან სისხლით —
— არცერთი ნაბიჯი უკან!!

და მე ვგრძნობ ტალღების შებმას
ეს ასე ყოფილა მარად,
ისე ვით ჩვენ ვერაგ მტრებთან
მარადის ვიქნებით მწყრალად.

მე ვხედავ ტალღების შებმას,
ერთმანეთს ეძგერენ მსხვრევით,
ისე ვით ჩვენ, გუშინ შევხვდით
ერთმანეთს მოსისხლე მტრები.

## ლექსად აღდგენილი თქმულება ამირანზე

14 თებერვალს მწერალთა კავშირის აუდიტორიაში პროფ. შ. ნუცუბიძემ წაიკითხა მის მიერ ლექსად აღდგენილი თქმულება ამირანზე. წინასწარ მან გააკეთა საკმაოდ ვრცელი მოხსენება ამირანის თქმულებაზე, მის წარმოშობასა და სადაურობაზე.

პროფ. შ. ნუცუბიძემ შემდეგი მთავარი დებულებები წამოაყენა: ამირანის თქმულებაში მოცემულია ქართველი ხალხის მითიური წარმოდგენები, მასში წარმოდგენილია ქართულ წარმართულ ღვთაებათა მთელი პანთეონი. ამირანის მითი ქართველმა ხალხმა შეჰქმნა შორეულ ისტორიულ წარსულში—მე-14—მე-13 საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე, იგი ასახავს იმ ეპოქას, როცა ქართველი ტომები რკინის ცივი ჭედვიდან გადადიოდნენ რკინის გამოდნობაზე. ამირანის მითი დიდად წინ უსწრებს ელინურ თქმულებას პრომეთეოსზე, იმ ტერიტორიიდან, რომელნიც ქართველ ტომებს ეკავათ, ამირანის თქმულება გავრცელდა სხვა კავკასიელ ტომებში. შორეულ წარსულში ამირანის თქმულება წარმოადგენდა ფაბულარულად და კომპოზიციურად ერთ მთლიან პოემას. ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ ამ პოემის ფრაგმენტებმა, რომლებიც ამჟამად დაახლოვებით 400-500 ტაეპს შეიცავენ. ხალხში დარჩენილ პროზაული ფრაგმენტების მიხედვით მე შევეცადე აღმედგინა მთელი პოემა იმ სახით, რა სახითაც იგი შეჰქმნა ქართველმა ხალხმაო.

თუ მკითხველი ვერ იგრძნობს და ვერ შეამჩნევს განსხვავებას, ლექსად დარჩენილ ხალხურ ფრაგმენტებსა და ჩემს მიერ ლექსადვე აღდგენილ ტექსტს შორის, მე ჩემს მიზანს მიღწეულად ჩავთვლიო, — განაცხადა დასასრულ, პროფ. შ. ნუცუბიძემ.

შემდეგ პროფ. შ. ნუცუბიძემ დამსწრეთ გააცნო მის მიერ რესტავრირებული პოემის მრავალი ადგილი.

როგორც მოხსენების ძირითადმა დებულებებმა, ისე რესტავრირებულმა ტექსტმა ერთი-მეორისადმი დაპირისპირებული შეფასება ჰპოვა.

რ. გვეტაძემ, კონსტ. გამსახურდიამ, გ. ლეონიძემ, ლევან ასათიანმა ძირითადში მოიწონეს პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ აღდგენილი ტექსტი. მათი დასკვნით შ. ნუცუბიძეს ამირანის თქმულება ლექსად ისე აქვს აღდგენილი, რომ იგი სიუჟეტურად და კომპოზიციურად ერთი მთლიანი ნაწარმოების შთაბეჭდილებას სტოვებს. მხოლოდ ალაგ-ალაგ ლექსიკა, რითმების ხასიათი და თანამიმდევრობა იმდენად მოდერნულია, რომ არ შეესაბამება ხალხური ლექსის ხასიათსო. მაგრამ, კონსტ. გამსახურდიას განცხადებით, ეს ნაკლი ხელს არ უშლის იმას, რომ პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ აღდგენილი ამირანის თქმულება ქართული ეპიური პოეზიის ისეთი შედევრების გვერდით დავაყენოთ, როგორიც არის „ვეფხის ტყაოსანი“ და ვაჟა ფშაველას პოემებიო (!!!).

უფრო სკეპტიკურად შეხედეს პროფ. ნუცუბიძის მოხსენების დებულებებს და უფრო კრიტიკულად შეაფასეს მის მიერ გალექსილი ტექსტი კონსტ. ჭიჭინაძემ და აკაკი გაწერელიამ. კ. ჭიჭინაძემ დაუსაბუთებლად მიიჩნია ის მოსაზრება თითქოს ბერძნების ისეთი უძველესი და ძირითადი მითი, როგორიც არის მითი პრომეთეოსზე, საქართველოდან საბერძნეთში გადასულიყოს, შეუწყნარებლად მიიჩნია მან აგრეთვე ის მოსაზრებაც, თითქოს ამირანის თქმულება შექმნილიყოს საქართველოში მე-14, მე-13 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამ მოსაზრების მტკიცებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობსო. ქართული ხალხური თქმულება ამირანზე წარმოშობილი უნდა იყოს საქართველოში მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ ნიადაგზე ისევე, როგორც ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“ არის წარმოშობილი რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანის“ ნიადაგზე. თვით ის შაირი, რომლითაც პროფ. შ. ნუცუბიძეს გაულექსავს პროზაული ფრაგმენტები „ამირანისა“ იმდენად დაბალ დონეზე დგას, რომ იგი არა თუ უსწორდება ხალხური „ამირან დარეჯანიანის“ ლექსს, არამედ ვერ ადის ვერც თანამედროვე და ვერც გასული საუკუნის ვერსიფიკაციის სიმაღლემდე. ა. გაწერელიას აზრით, ის შაირი, რომლითაც პროფ. შ. ნუცუბიძეს გაულექსავს ამირანი, ხალხური ლექსის სუსტ იმიტაციას წარმოადგენს. ქართული ლექსის ისტორიამ იცის შაირის საშუალო დონე, ეს არის თეიმურაზისა და არჩილის შაირი. ლექსი, ამ საშუალო დონეს აცილებული, იძლევა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“, ხოლო ამ დონეზე დაბალი —ალღუზიანებისა და ბაქარიანების სალექსო კულტურას.

როგორც პირველი, ისე მეორე რიგის ოპონენტების გამოსვლა ემყარებოდა პირველ შთაბეჭდილებებს და ამიტომ ზოგად-დეკლარაციული ხასიათისა იყო.

იმ ოპონენტებს, რომლებმაც არ გაიზიარეს მომხსენებლის მოსაზრებანი და არ მოიწონეს მისი ნამუშევარი, პროფ. ნუცუბიძე აბუჩად, უდიერად მოეპყრო და უპასუხისმგებლო რეპლიკებით გაუმასპინძლდა როგორც მათ ისე იქ დამსწრე ზოგიერთ სხვა მწერალსაც.

პროფ. შ. ნუცუბიძის ასეთმა მოქმედებამ მწერალთა საზოგადოებრიობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამის გამო პროფ. ნუცუბიძის საქციელი გახდა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის პრეზიდიუმის მსჯელობის საგნად. პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ პროფ. შ. ნუცუბიძე, რომელიც უკანასკნელ დროს სასარგებლო კულტურულ - ლიტერატურულ მუშაობას ეწევა ძველი ქართული პოეზიის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნის სახით, 14 თებერვლის საღამოს, როცა მან წაიკითხა რესტავრირებული „ამირანი“, შეუფერებლად მოიქცა და უდიერი რეპლიკებით დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიაყენა ზოგიერთ მწერალს.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ თავისი შეუფერებელი საქციელის აღიარება, მისცა მას, როგორც მწერალთა კავშირის წევრს, მითითება.

## ორი ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო მწერალთა კავშირში

25 თებერვალს მწერალთა კავშირში გაიმართა წითელი არმიის არსებობის 25 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 22 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც ამხ. სანდრო ეულის შესავალი სიტყვით დაიწყო.

ვრცელი მოხსენება წითელი არმიის მიერ განვლილ სახელოვან გზაზე, მის მიერ ფაშისტ დამპყრობლებთან უკანასკნელად მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებებზე, აგრეთვე საბჭოთა საქართველოს მიერ 22 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებზე ეკონომიკის და კულტურის დარგში, წაიკითხა ამხ. დ. ბენაშვილმა.

ამავე თემაზე სიტყვები წარმოსთქვეს შალვა დადიანმა და ლეო ქიაჩელმა.

გმირული წითელი არმიისა და უმაღლესი მთავარსარდლისადმი, აგრეთვე საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი ახალი ლექსები წაიკითხეს ალ. აბაშელმა, კონსტ. ჭიჭინაძემ, ი.. გრიშაშვილმა, რ. გვეტაძემ, გრ. ცეცხლაძემ, მ. ბარათაშვილმა, უკრაინელმა პოეტმა პორტენკომ და სანდრო ეულმა.

## ი. გრიშაშვილის „ანბანთ ქება“

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა იოსებ გრიშაშვილის საბავშვო წიგნი სახელწოდებით „ანბანთ ქება“.

ეს წიგნი, სადაც ქართული ანბანის ყოველი ასო გალექსილი და შესაფერი ნახატებით არის დასურათებული, დანიშნულია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. წიგნის ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ სოსო გაბაშვილს.

ი. გრიშაშვილის „ანბანთ ქება“ პირველად დაიბეჭდა 1929 წელს, ახალი გამოცემა შევსებული და მხატვრულად უფრო სრულყოფილია.

## ახალი ქართულ-რუსული ლექსიკონი

სახელგამმა გამოსცა ქეთევან დათიკაშვილის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკონის პირველი წიგნი (გამოცემა ორ წიგნადაა განზრახული).

ეს ახალი ლექსიკონი ჩვეულებრივი ორენოვანი ლექსიკონისაგან განსხვავდება იმით, რომ, დიდ ყურადღებას აქცევს სტილისტიკის მომენტსაც, კერძოდ აღნიშნულია, როგორც ქართული სიტყვების, ისე მათი რუსული ექვივალენტის ხმარების სფერო.

ლექსიკონის პირველი წიგნი გამოცემულია ს. ვაჩნაძის რედაქციით, ღირს 24 მან. და 60 კაპ.

# აქედან იწყება ცეცხლი*

### იაკინთე ლისაშვილი

მიჰქროდა მატარებელი.

ორი მეგობარი, ორი მეთაური კუპეში იჯდა. ვახტანგი ამთავრებდა საკუთარ ცხოვრების ამბავს. მან პაპიროსს მოუკიდა, მეგობარს გადახედა და განაგრძო:

„სხვა რაღა გითხრა, ჩემო მირზა? ისედაც გამიგრძელდა ამბავი. შენც იცი: ჩვენ ხომ ერთად დავასრულეთ სამხედრო სასწავლებელი და შემდეგ არმიაში ერთად გაგვგზავნეს. ჯერ კიდევ ორწლიან სამხედრო სკოლაში ვიყავით, როცა ევროპაში ომი დაიწყო, მაგრამ იმ დროის ჩვენს ცხოვრებაზე არაფერს გეტყვი, ერთის თქმა შემიძლია: ის, რაც სამხედრო სასწავლებელმა თუ წითელ არმიაში სამსახურმა შემძინა, ცოდნასთან ერთად ეს არის რკინის დისციპლინა, რომელსაც ტყვიაც ვერა სჭრის.

მე და თენგიზი უვადო შვებულებაში წავედით ჯარიდან. ის ზაფხული სოფლად უნდა გაგვეტარებინა ორივეს. ჩვენს „მზეთუნახავებთან“ დაქორწინება სოფელშივე უნდა მოგვეწყო, ხოლო შემოდგომიდან უნივერსიტეტში მეცნიერულ მუშაობას უნდა დავბრუნებოდით.

ქალიშვილებიდან თინამ უნივერსიტეტი დაამთავრა და მასწავლებლად სოფელში წავიდა, ხოლო დარეჯანი და ქეთევანი ორი-სამი თვის შემდეგ ექიმებად უნდა გამოსულიყვნენ. მიუხედავად ამისა, შვებულება აიღეს და ისინიც ჩვენთან ერთად, სოფელში წამოვიდნენ.

სადგურზე რომ გადმოვედით, ყველაფერი გამოცვლილი გვეჩვენა:

მოასფალტებულ მოედანზე ავტობუსი იდგა. შოფერი მგზავრებს ეძახდა:

— ვინ არის მსურველი, ავტობუსი ხუთ წუთში წავა! იჩქარეთ!

იმ ავტობუსით გავემგზავრეთ შინისკენ.

აქაც სულ სხვანაირი სოფელი დაგვიხვდა; არც ეზოები ჰგავდნენ ძველ ეზოებს, არც ბაღები, არც სახლები, არც გზები და არც თვით ხალხი.

ამ განსაკუთრებულ მიმზიდველობას აძლიერებდა დაუსრულებელი ბაღები. ხალხიც ბაღს დამსგავსებოდა: უფრო მხიარული, ხასიათ-გაშლილი გვხვდებოდა.

არც ისე დიდი დრო იყო გასული, რაც აქ არა ვყოფილვარ, მაგრამ ამ მცირე დროსაც გარდაქმნის უდიდესი ძალა გამოეჩინა.

ჩვენს თემში მივედით. ორი ტანაყრილი, ახალი შენობა მომხვდა თვალში, ათწლედისა და კლუბის შენობა.

მეზობლები შემოგვესივნენ. ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ათწლედის შენობიდან თმაშექაღარავებული დედაჩემი გამოვიდა და ჩვენსკენ ხელგაშლილი გამოეშურა.

მივეგებე დედაჩემს და მოვეხვიე.

— გათენდა, შვილო! — შემომძახა დედამ და ბავშვივით გულში ჩამიკრა.

შემდეგ მიესალმა ჩემს მეგობრებს, მაგრამ რატომღაც განსაკუთრებით დარეჯანს მიუალერსა. ალბათ, დედაჩემიც თანაუგრძნობდა ჩემი და დარეჯანის ურთიერთგრძნობას, ახლა უფრო გარკვევით ვხედავდი ამას. სჩანდა, დარეჯანიც მიხვდა. საკუთარ დედასავით ეხვეოდა დედაჩემს. ეს მე მახარებდა.

მალე არჩილი, კაპიტონა და ბევრი სხვა მეზობელი გამოჩნდა. საიდღანაც სიმონიც მოვიდა, იგი უკვე აგრონომად მუშაობდა ამ სოფელში. ყველანი გრძნობით გვესალმებოდნენ. არჩილმა დიდის ხალისით გვიამბო უკრაინელ კოლმეურნეებთან შეჯიბრების ამბავი. მოგვიყვა, რა ზეიმით მიუღიათ უკრაინელი ძმების დელეგაცია.

დაასრულა ამბავი არჩილმა, მაგრამ თვალებში იმ ბედნიერი დღეების შუქი არა ჰქრებოდა. შემდეგ კაპიტონას ჩაუკრა თვალი, ალბათ, კაპიტონაც მიხვდა და სადღაც გაიქცა.

ხუთი წუთიც არ გასულა, კაპიტონამ მსუბუქი მანქანა მოაგრიალა.

— ბიჭოს, ეს სად იყო? — შევძახე არჩილს.

არჩილმა ღიმილით სთქვა:

— უფრო დიდ რამეებს ნახავთ ჩვენს სოფელში.

— აბა, ჩასხედით, მხოლოდ ოთხნი, დანარჩენები შემდეგ, — მოგვმართა კაპიტონამ.

დედაჩემი, დარეჯანი და ქეთევანი გაუშვით წინ.

რამდენიმე წუთში კაპიტონამ „ემადინი“ უკანვე მოაგრიალა. ახლა ჩვენ ჩავსხედით. ის იყო მანქანა დაიძრა, რომ სამკითხველოს ფანჯარასთან შეჩერებულ ტასიას მოვკარი თვალი. ტასიამაც დამინახა, შერცხვა, მყისვე გაბრუნდა.

უსიამოვნება მომაყენა ტასიამ, მაგრამ მასზე გული მაინც არ მომდიოდა. შესაძლოა ჩემდამი მას ჰქონდა გრძნობა, თუმცა ამ გრძნობის გამოსათქმელად მისი საქციელი შეუფერებლად მიმაჩნდა.

ჩემი ამხანაგები თავ-თავიანთ სახლებთან დავტოვეთ. მანქანა გორაკს შეუდგა და „სუნთქვა“ უფრო გააძლიერა, ავედით ზემოთ, ციტრუსების სიმწვანე ვეებერთელა მოსასხამივით მხრებზე შემოხვეოდა გორაკს.

შინ უკვე იცოდნენ ჩვენი მისვლის ამბავი და ჭიშკართან დაგვხვდნენ.

სულ ბოლოს ყარამანმა გადამკოცნა, ხელზე ხელი მომიჭირა და სიხარულის გამოსათქმელად მითხრა:

— ჩემო ვაჟკაცო.

რამდენსამე დღეს ერთი მთლიანი სიმღერით ჟღერდა სოფელი.

ჩვენი წაბაძვით თინამ და სარდიონმა იმდენი იარეს ერთად, რომ დაგვასწრეს კიდეც და მთელი ამბავი დაქორწინებით დააგვირგვინეს. ახლა დროც აღარა ჰქონდათ, სახლიდანაც იშვიათად გამოდიოდნენ და თუ ვთხოვდით, გამოსვლის მაგიერ დაგვცინოდნენ კიდევაც.

— გამოდი, სარდიონ, არა გრცხვენია — ვეხუმრებოდი მე.

— გამოდით — უმატებდა დარეჯანი, მაგრამ თინა და სარდიონი განაგრძობდნენ დაცინვას:

— იარეთ მასე ხახაგამშრალნი და ეშხით დამწვარნი, სანამდის გასძლებთ, მაგასაც ვნახავთ!

— მეგობრებო, ბოდიში, მაგრამ თქვენთვის არ გვცალია!

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ისინიც ახერხებდნენ ერთ ოჯახად ქცეულ მეგობრების წრეში დროს გატარებას.

თითქოს ბავშვობის დღეები გაცოცხლდნენ ჩვენთვის. საღამოობით ერთად ვიყავით, როგორც სხვა დროს.

...იმ დილით მაღალზე წამოდგმული ოთხთვალიანი სახლის აივანზე ვიყავით გამოსულნი და ჩაის ვსვამდით. ჩემი მეგობრებიდან იქ მხოლოდ დარეჯანი, ქეთევანი და თენგიზი იყვნენ. შინაურებიდან — დედაჩემი და სოფიო.

ყარამანი და სიმონი სამუშაოდ იყვნენ წასულნი... ხაჭაპურებს შევექცეოდით

ვიღაცამ კოლექტივის ბაღი არაჩვეულებრივი სისწრაფით გადაირბინა და ზევით ჩაის ფაბრიკის კარებში შევარდა. რაღაც ჩოჩქოლი გაისმა.

სოფიო და დედაჩემი ქვევით ჩავიდნენ.

კოლექტივის ბაღიდან შინისაკენ სწრაფად მომავალი ყარამანი შევნიშნეთ და დავრწმუნდით, რომ არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა.

არაფერი არ გვითქვამს, მაგრამ თითქოს ყველას გულმა ერთნაირად გვიაზრა და წამოვდექით, აივანზე ხმის ამოუღებლად მიმოვდიოდით.

ყარამანი ეზოში შემოვიდა.

არასოდეს ყარამანის სახეზე ასეთი აღელვება არ მინახავს, ის აჩქარებული ნაბიჯით მიეგება დედას და სოფიოს.

— ომი დაიწყო, გერმანელები თავს დაგვესხნენ, ჩვენი მთავრობის მოწოდებაა:

დედა შეკრთა.

— ყარამან რა სთქვი?

გადავხედე დარეჯანს; მის სახეზე თითქოს მხოლოდ თვალები მოსჩანდნენ.

— ვახტანგ! — წამოიძახა დარეჯანმა და მომაჩერდა.

ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. გრძნობა და მოვალეობა გულში ერთმანეთს ეჭიდებოდნენ, მაგრამ გრძნობის საკითხი უკვე გადაწყვეტილად მიმაჩნდა, თუმცა გული თავისთავად მაინც იბრძოდა, სიტყვას მართმევდა.

მე და თენგიზი ჯერეთ განუცდელი გრძნობით მივაჩერდით ურთიერთს:

— თენგიზ, ჩვენ დღესვე წავალთ! — შევძახე და შუბლში ვაკოცე.

მომეხვია თენგიზიც, გადამკოცნა და მტკიცედ მითხრა:

— აქამდე ბავშვები ვიყავით, ვახტანგ, ვაჟკაცობა ახლა იწყება.

— უკვე დაიწყო! — მივუგე და [illegible]

ახლა შევნიშნე, რომ დედა, სოფიო და ყარამანი აივანზე ამოსულიყვნენ.

დედა მრავალმეტყველად მომჩერებოდა. მეც ვგრძნობდი, რას ამბობდნენ მისი თვალები. ისინი თითქოს მეუბნებოდნენ: „შენ ერთადერთი ხარ, შვილო. ყველა მზე და ყველა მთვარე შენზე ამოდის, შენით იწყება ჩემი სიცოცხლე და შენით თავდება. ყოველი შუქი სიბნელეს მომიტანს, შენ რომ არ მყავდე... მაგრამ რა გაეწყობა, ჩემო პატარავ, დიაღ, პატარავ: დედას სხვა სიტყვები არ გააჩნია და არც გააჩნდა“... და გაგრძელება ამ ფიქრისა დედამ თვით წარმოთქვა:

— შენც ნახავ, შვილო! — მერე მომვარდა და გულში ჩამიკრა.

დიდხანს ივსებოდა ჩემი გული იმ სიტკბოებით, რაც დედის გულიდან გამოდიოდა და ის გულიც ჩემს გულთან ერთად ფეთქავდა:

— მამიშენის გზით მიდიხარ, შვილო, მაგრამ სხვა გზით უნდა მოხვიდე! — მითხრა დედამ და ახლა თენგიზს გადაეხვია. ჩემთან ძმასავით შეზრდილს დედური გული გადაუშალა: — შენც ჩემი შვილი ხარ! ძმებზე უფრო მეტნი ხართ.. ერთად, მიდიოდით, ერთადვე დაბრუნდით.

ყარამანმა ჩაახველა, მოაჯირს დაეყრდნო:

— რაც ვაშენეთ, ყველაფერი ახლა გვჭირდება, მუხანათ მტერს უფრო მაგრად დავარტყამთ. თქვენ თოფით, ჩვენ თოხით. თუ გაჭირდება, თოხიც თოფად გადაიქცევა და ტყვიას გაისვრის. მხოლოდ ეს თოხები ჩემისთანა ძველების ხელში იქნება!—ეს ბოლო სიტყვები ხმის ოდნავი დაშვებით, მაგრამ სიამაყით წარმოსთქვა ყარამანმა, და თავის ვეებერთელა ხელს დააცქერდა...

ვუყურებდი ყარამანს და ვხარობდი: უბრალო ადამიანსაც აქვს თავისი სიამაყის მიზეზი.

მე და თენგიზი ვუცქერდით მას და მისი სიმტკიცით ჩვენც ვმტკიცდებოდით.

...აი ჩვენ მივდივართ, მირზა, და ახლაც ვხედავთ, თვალწინ მიდგას ჩვენი თბილისიდან გამომგზავრების ბოლო წუთები. შესაძლოა ეს შენც შენიშნე, მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, ადამიანები ერთად არიან და ურთიერთის ცხოვრების მეათასედ ნაწილსაც არ იცნობენ.

დედაჩემი ბაქანზე იდგა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ყველაფერს შერიგებიაო. აქეთ-იქიდან თინა და ქეთევანი ამოსდგომოდნენ, ხოლო დარეჯანი ერთხანს დაძრულ მატარებელს მისდევდა, მერე უეცრად გაბრუნდა, უკან გაიქცა და დედაჩემს მკერდზე მიეკრა.

ჩვენ სამმა მეგობარმა ერთმანეთს შევხედეთ. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ შევძახე.

— ძმებო, ჩვენში ცოცხლობს ის, რაც ჩვენს სიცოცხლეში უფრო ძვირფასია. ეს ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულია.

— ჩვენც მისი სიცოცხლისათვის ვიბრძოლებთ, ვახტანგ! — სთქვა სარდიონმა.

— ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისათვის! დაუმატა თენგიზმა და მეგობრებმა ერთმანეთს მხრებზე დავადეთ ხელი.

შემდეგ შენც მოხვედი.

ასე დაასრულა ვახტანგმა ამბავი.

„ვახტანგ, ვახტანგ! — მიაძახა მირზამ მეგობარს და ისიც წამოდგა, ხელი მოჰხვია მას, — ათასჯერ უფრო შეგიყვარე, ვიდრე მიყვარდი!

გაიღო კარი და კუპეში გაისმა თენგიზის ხმა:

— გაიღვიძეთ, ბიჭებო!

— რაც იყო, ძმებო, სიზმარივით წარმოვიდგინოთ, რაც არის სინამდვილეა! — დაუმატა სარდიონმა და შიგ შემოვიდა.

...ისინი რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში იყვნენ.

შემდეგ ფრონტი... აი მინსკის მიდამოებში მისრიალდა მანქანა და ისინი ძირს ჩამოვიდნენ.

ზარბაზნების გრიალი მოისმოდა შორიდან.

ვახტანგს ის დრო მოაგონდა, როცა უმაღლეს სასწავლებელში შედიოდა პირველად და კარების გაღებისას გულში გაივლო:

„ფრთხილად, აქედან იწყება მეცნიერება“

ახლაც მან გულში გაივლო:

„მტკიცედ, აქედან იწყება ცეცხლი!“

ისინი შტაბში შევიდნენ.

---

1) თავი რომანიდან — „სიცოცხლისათვის“

# ნოველების წიგნი სამამულო ომზე

### ს. ჭილაია

ქართველი პროზაიკოსების მიერ სამამულო ომის თემებზე გამოქვეყნებულ ნოველებს შორის, უნდა აღინიშნოს ა. ბელიაშვილის „პატარა ნოველები“. წიგნაკში მოთავსებული ნოველების თემა მეტად აქტუალურია, სადღეისო. ნოველისტი მხატვრული სიმართლით და პოეტური გზნებით მოგვითხრობს სამამულო ომის მღელვარე მოვლენებზე. ამ წიგნაკში მოთავსებული ნოველების უმრავლესობა დიდი ინტერესით იკითხება.

ოსტატის, ნიჭიერი ნოველისტის კალმით არის შექმნილი ნოველა — „ორი თამარი“. მასში სრულიად მარტივი ამბავია მოთხრობილი. რომანტიკული სითბოთი და სურნელებით გაჟღენთილი ეს ნოველა გვიხატავს ფრონტზე წასული გმირის ჯანსაღი, უჩრდილო სიყვარულის გრძნობას. „ეს გრძნობა უადვილებდა მიტოს ყოველგვარ სიძნელეს. რომელიც ფრონტზე ხვდებოდა. თხრილში იწვა თუ დაზვერვაზე მიდიოდა, მას არასოდეს არ ავიწყდებოდა შავთვალა თამარის წამწამებზე დაკიდული ალმასივით ცრემლები“. ამის მოგონება ბრძოლებში მყოფ მიტოს საგმირო საქმეებზე აქეზებს; მიტომ ფრონტზე სახელოვანი საქმეები ჩაიდინა, მაგრამ შეტევის დროს მძიმედ დაიჭრა. სასიკვდილოთ დაჭრილი ვაჟკაცი ქერათმიანმა მედიცინის დამ, რომელსაც მისი სატრფოს— თამარის სახელი ერქვა, იხსნა იგი. მიტო შვებულებით ბრუნდება თავის სოფელში. მაგრამ თამარი ფრონტზე წასული დახვდება. ახალგაზრდა ქალის საქციელი კიდევ უფრო მეტი სილამაზით და სიყვარულით მოსავს შეყვარებულს ვაჟკაცის თვალში.

ნოველაში სიყვარულის წრფელი გრძნობა ოსტატურად შეერთებულია სამშობლოს სიყვარულის დიად გრძნობასთან. სიყვარული აქ დახატულია, როგორც დიდი ზნეობრივი და კეთილშობილური ძალა. მიჯნური გმირები შთაგონებული არიან სამშობლოზე ფიქრით, მის მომავალზე და კეთილდღეობაზე ზრუნვით. ა. ბელიაშვილი საბჭოთა ქალებს მოსცემს რომანტიკის უჩრდილო გრძნობით. მათ იციან საკუთარი გრძნობის ფასი და ასევე სამშობლოსათვის თავდადებაც. „ორი თამარი“ პატრიოტული შარავანდედით შემოსილი ქალის პორტრეტია.

ასევე, კარგად დაწერილია, ნოველა „უმცროსი“. ამ ნოველაში მოთხრობილია შრომის ფრონტზე ჩადენილ გმირობის ეპიზოდი, ახალგაზრდა პატრიოტს ვალიკო ქურციკიძეს სამშობლოს დაცვა, ფრონტზე წასვლა ეწადა გულით. მან განცხადებით მიმართა სამხედრო კომისარს, რომ წითელ არმიაში ჩაერიცხათ, მაგრამ მას უარს ეტყვიან, როგორც მცირეწლოვანს. სამხედრო კომისრისაგან გაწბილებული ახალგაზრდა პატრიოტი ბოლოს მაღაროში მოეწყობა. „ჩაქუჩი რომ ტყვიამფრქვევივით არახრახდა, სიამოვნება იგრძნო ვალიკომ. თავი ფრონტზე წარმოიდგინა. თითქო ავტომატი ეჭირა ხელში, ისე გრიალებდა პნევმატიური ჩაქუჩი“. ასე დაიბადა ახალგაზრდა პატრიოტისაგან შრომის გმირი. შრომის ფრონტის საგმირო საქმე ნოველაში ძლიერი მხატვრული სურათით ცოცხლდება.

საბჭოთა ხალხი აღსავსეა სიძულვილით და ზიზღის გრძნობით ფაშისტ ბარბაროსებისადმი. ა. ბელიაშვილი ნოველაში — „მორიელები“, ფაშისტ მძარცველებისა და მკვლელების საძულველ სახეს წარმოგვიდგენს. ეპიზოდი ასეთია: ფაშისტები ძარცვავენ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ქალაქს. აი მიადგნენ ისინი ერთ სახლს, დაიარეს ბინები, აირჩიეს, რაც მოეწონათ და ძვირფასი იყო, დაიტაცეს და წაიღეს ყველაფერი. მშვიდობიანი, უიარაღო ხალხის მძარცველებს უნტერ-ოფიცერსა და ჯარისკაცს ჩხუბი მოუვიდათ ძვირფასი თვალის გამო, რომელსაც პირველად ჯარისკაცმა დატაცა ხელი, მაგრამ უნტერ-ოფიცერმა წაართვა ძალით. მძარცველები ბინიდან გავიდნენ თუ არა,, მოულოდნელად ჯარისკაცი შედგა, „ნადირივით მოიკუნტა, რევოლვერი ამოიღო და რამდენჯერმე დაახალა ზურგში უნტერს. უნტერი მოწყვეტით წაიქცა. ერთი ორჯერ თუ სამჯერ გადაგორდა მიწაზე და სული დალია, ჯარისკაცმა კი მოიხედა და მოკურცხლა“. ბოროტმოქმედებმა ეს საქმე გაძარცულ საბჭოთა ადამიანებს გადააბრალეს. ბარბაროსებმა ერთის სანაცვლოდ ასი უდანაშაულო საბჭოთა ბავშვი, ქალი და მოხუცი დახვრიტეს. მეორე დღეს საბჭოთა მეომრები დაიბრუნებენ ამ ქალაქს. დახვრეტილთა შორის ერთს მძიმედ დაჭრილს ნახავენ და მას სიკვდილისაგან იხსნიან. ამ თავზარდამცემ ამბავს ეს გმირი ყვება. „მე მხოლოდ ერთი იმედი მასულდგმულებს, — განაგრძო მცირე დუმილის შემდეგ მან, — ერთი იმედი.. თორემ არასოდეს არ ყოფილა ალბად ისტორიაში ისეთი შემთხვევა, რომ ოდესმე ვინმეს ჩემსავით თავზარი დაცემოდეს იმის გამო, თუ რატომ გადარჩა ის ცოცხალი დახვრეტის შემდეგ.., ერთი იმედი მასულდგმულებს და მხოლოდ იმ საათამდე მსურს ვიცოცხლო, სანამ საშუალება მომეცემა პირადად ველაპარაკო მათ და ეს დავალიანება გავინაღდო“.

მტრებისდმი შურისძიების კოცონი ანთია არა მარტო ამ შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედების მსხვერპლში, არამედ ყოველ საბჭოთა მოქალაქის გულში. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ეს ნოველა საბჭოთა ადამიანებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეტად ამაღელვებელი ეპიზოდი, მაინც არ არის სრულყოფილად გააზრებული და სათანადოდ დამუშავებული. ის უფრო ნარკვევის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე მხატვრული ნოველისა, მას აკლია ნოველისათვის საჭირო დრამატიული სიმძაფრე, ზოგი დეტალიც სრულიად უადგილოა. ასე, მაგალითად, გაძარცული საბჭოთა მოქალაქენი შეჰყურებენ შიმავალ ჯარისკაცსა და უნტერს, და ამ სურათის გამო „ჩვენ სიცილი აგვიტყდაო“, გვიამბობს მოთხრობელი. ეს ფრაზა სრულიად უადგილოა და დისონანსი შეაქვს ნოველაში შექმნილ სიტუაციაში.

სრულიად შეუფერებელია „რეზერვისტის გაფრენა“. ეს ნოველა მეტად სქემატიური და სუსტია. მოთხრობილ ამბავს აკლია დამაჯერებლობა. ნოველა ვერ სტოვებს ოსტატის ხელით დაწერილ ნაწარმოების შთაბეჭდილებას.

ერთი შენიშვნაც წიგნის სახელწოდების შესახებ.

უდავოა, რომ წიგნის სათაურის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოხდენილი, კარგად შერჩეული სათაური წიგნს მიმზიდველს ხდის მკითხველისათვის. მით უმეტეს ეს შეეხება მხატვრულ წიგნს. ავტორი დიდის დაკვირვებით უნდა ირჩევდეს წიგნის თუ ცალკე ნაწარმოების სათაურს. არ შეიძლება ითქვას, რომ ა. ბელიაშვილი საზოგადოდ თავის ნაწარმოებთა ცუდ, გაუმართლებელ დასათაურებას იძლეოდეს, მას ბევრი ორიგინალური სათაური აქვს, მაგრამ ჩვენის აზრით სრულიად მოუფიქრებულია და უაზროც წიგნაკის სათაური — „პატარა ნოველები“. ჯერ ერთი, ეს სათაური არაფრის მთქმელი არაა, მეორეც, შაბლონურია. ნოველა საზოგადოდ მცირე ზომის თხრობითი ნაწარმოებია. მართალია, ყოველი კუდმოკვეცილი მოთხრობა არ არის ნოველა, თუმცა მისი ძირითადი ნიშანი თხრობის მცირე ფორმაა. ამიტომ ნოველას არ სჭირდება განსაზღვრა—„პატარა“, ის ისედაც იგულისხმება ნოველის ცნებაში. ესეც არ იყოს, აქ მოთავსებული ნაწარმოები — „იმერლები ზღვასთან“ არა თუ პატარაა, არამედ ძალიანაც მოზრდილი, გაჭიანურებული და უზომოდ გაზვიადებული მოთხრობაა.

სამამულო ომის მრავალფეროვანმა თემატიკამ უნდა განსაზღვროს ყოველი საბჭოთა მწერლის მუშაობა ამჟამად. ამაზე უფრო კეთილშობილი თემა არ არსებობს დღეს. ჩვენი მწერლობის მხატვრული, აღმზრდელი პატრიოტული სიტყვა კიდევ უფრო ძლიერად უნდა ჟღერდეს და აღფრთოვანებდეს საბჭოთა ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს.

# დრამატურგთა სექციაში

27 თებერვალს მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციამ მოაწყო ვლადიმერ ტატიშვილის ახალი პიესის—„ომში წასვლა მსურს“ კითხვა. პიესაში ასახულია ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ქალაქისათვის, ნაჩვენებია საბჭოთა პატრიოტების მაღალი სულიერი თვისებები და გერმანელ ოკუპანტთა გონებაშეზღუდულობა, მედიდურობა, ველურობა.

პიესის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გრიბოედოვის თეატრის რეჟისორმა ა. ი. რუბინმა, ამჟამად თბილისში მყოფმა რუსმა და უკრაინელმა მწერლებმა ა. მ. საშკომ, ს. მ. ლევიტინამ, ი. ვასილენკომ, ქართველმა მწერლებმა იოსებ ტატიშვილმა, ც. წულუკიძემ, იონა ვაკელმა. პიესა ძირითადში მოწონებული იქნა, ავტორმა საფუძვლიანად სცნო განხილვის დროს გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა, რომელთაც მხედველობაში მივიღებ პიესის საბოლოო ტექსტის დამუშავების დროსო.

# ჰარუთიუნ თუმანიანი

### 1866—1943

25 თებერვალს თბილისში გარდაიცვალა ცნობილი სომეხი პოეტი, დრამატურგი და პედაგოგი ჰარუთიუნ თუმანიანი.

განსვენებული დაიბადა 1866 წელს ქვემო-აქულისში. მამამ პატარა ჰარუთიუნი თბილისს ჩამოიყვანა და ნერსესიანის სემინარიაში მიაბარა.

1884 წელს მოწაფეთა გაფიცვების გამო სემინარიიდან გარიცხული თუმანიანი შევიდა გეორგიანის უნივერსიტეტში. 1892 წელს დაიწყო პედაგოგიური მუშაობა ერევანსა და შემდეგ თბილისში.

სამწერლო სარბიელზე გამოვიდა 1891 წელს ტიგრან ნაზარიანის საბავშვო ჟურნალ „აღბიურ“-ში. მას შემდეგ იგი მუდმივი თანამშრომელი გახდა თითქმის ყველა სომხურ ჟურნალ-გაზეთისა.

ჰარ. თუმანიანის ლექსების პირველი ტომი გამოვიდა 1899 წელს. მას შემდეგ ცალკე წიგნებად დაიბეჭდა მისი „მუსა“, „მელიქიუსუფი“, „მელიქ ბეგლარ“, — ისტორიული პოემები, ლექსების კრებული „ნვაგნერ“, დრამატიული ნაწარმოებები — „არტავაზდ“, „ჰაზარან ბლბულ“, რუსულ - სომხური და სომხურ-რუსული ლექსიკონები, მოთხრობების კრებული და სხვა.

ჰარ. თუმანიანი საუკეთესოდ ფლობდა ლექსის ტექნიკას, ამიტომაც მის მრავალ ლექსს დღემდე მღერიან.

მისი ერთ-ერთი საუცხოო ლექსი ვალერი ბრიუსოვმა სთარგმნა და 1916 წელს დაბეჭდა სომხური პოეზიის ანთოლოგიაში.

ჰარ. თუმანიანს როგორც მწერალს, პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს დაბეჭდილი აქვს აგრეთვე მრავალი პუბლიცისტური, კრიტიკული და თეორიული წერილი.

ჰარუთიუნ თუმანიანმა ჯერ კიდევ 1908 წელს საუცხოოდ სთარგმნა აკაკი წერეთლის ლექსი „სურვილი“. შემდეგ მან სთარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“-ს რამდენიმე თავი, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, „კაკო ყაჩაღი“ (რომელიც გადააკეთა აგრეთვე პიესად და დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სომხურ თეატრში), ვაჟაფშაველას „გველის მჭამელი“ და „სტუმარ-მასპინძელი“, აკაკი წერეთლის „კინტო“, პუშკინის, ლერმონტოვის, ნადსონის მრავალი ლექსი და სხვა. ჰ. თუმანიანი ცნობილია აგრეთვე როგორც დრამატურგი, როგორც ავტორი პოპულარული პიესების „ბლბული“ და „ალქ“-ისა, რომელიც მთელი ორმოცი წლის მანძილზე იდგმებოდა გამოჩენილი მსახიობების ჰ. აბელიანის, გრ. ავეტიანის, ო. გულაზიანის და სხვების მონაწილეობით.

მიუხედავათ ღრმა მოხუცებულობისა ჰ. თუმანიანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ გაუგდია ხელიდან კალამი. უკანასკნელ წლებში მან დასწერა პიესები: „სასუნცი დავით“, „ბელადი“ პოემები—„გასტელო“, „ტანია კოსმოდემიანსკაია“ და სხვა. მას დაუმთავრებელი დარჩა ფრიად საინტერესო მემუარები „ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის გზა“. ჰარ. თუმანიანის სახით სომხურმა ლიტერატურამ დაჰკარგა ფრიად ნიჭიერი, გამოჩენილი პოეტი, რომლის შემოქმედებასაც საპატიო ადგილი უკავია სომხური მწერლობის ისტორიაში.

**სურენ ავჩიანი.**

# წითელი არმიის გმირობით შთაგონებული პოეზია

### ტატიანა შაროევა

ჩვენი მამაცი წითელი არმიის 25 წლისთავზე მთელი მოწინავე კაცობრიობა იმედითა და აღტაცებით თვალყურს ადევნებს იმას, თუ რა შეუდრეკელი ბრძოლით მიაქვს სულ შორს და შორს დასავლეთისაკენ დიადი აღმაფრთოვანებელი სიტყვა „თავისუფლება“ რევოლუციის იმ ერთგულ ჯარისკაცთა შვილებს და შვილიშვილებს, რომლებმაც ჯერ კიდევ 1918 წელს პსკოვთან და ნარვასთან სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს გერმანელ ოკუპანტებს და მით მტკიცე საფუძველი დაუდვეს წითელი არმიის ძლევამოსილებას.

წითელი არმია — შეუდრეკელი არმიაა; მისი საბრძოლო ღირსება, მისი მძვინვარე და მგზნებარე ნებისყოფა გამარჯვებისა გამოიჭედა სამოქალაქო ომის ქურაში, წითელი არმია განმტკიცდა და დავაჟკაცდა სოციალისტური მშენებლობის წლებში. მეომრის ურღვევი ფიცის განუხრელმა შესრულებამ გამოაწრთო სამამულო ომის მებრძოლის სული. დაუცხრომელი, ტანჯვაში გამოტარებული გზნება, რომელიც დაუფლებია ამჟამად ყოველი საბჭოთა მეომრის სულს და რომელსაც იგი მიჰყავს წინ დასავლეთისაკენ, ხდება მამოძრავებელ ძალად საბჭოთა ადამიანისათვის, ხდება მთელი საბჭოთა ლიტერატურის შთამგონებლად. ამჟამად მთელი ჩვენი ხელოვნების მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენს, რაც შეიძლება, ნათლად და ხორცშესხმულად ასახოს წითელი არმიის ისტორიული გმირული ბრძოლა, ასახოს მისი შეტევისა და წინსვლის მრისხანე და დიადი სიმფონია.

უსაზღვრო სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი და მისი ძლევამოსილი წითელი არმიისადმი, ურღვევი რწმენა გამარჯვებისა ფაშისტ დამპყრობლებზე გამოკრთის ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსებში. ქართულ საბჭოთა პოეზიას დღეს ერთადერთი დიდი ამოცანა და მაღალი იდეალი ასულდგმულებს — აღელვოს მკითხველის გული, აღავსოს იგი დაუცხრომელი სიძულვილით ფაშისტ მტარვალებისადმი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიას არასოდეს არ ჰქონია ისეთი სიმძაფრე და ისეთი გზნება, როგორც მას დაეტყო სამამულო ომის დღეებში. ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ხალხის გულისცემას, საბჭოთა ხალხის მამაცი და შეუპოვარი არმიის ყოვლის შემმუსვრელ და ყოვლის მძლეველ მრისხანებას გამოხატავენ გალაქტიონ ტაბიძისა და გ. ლეონიძის, ალიო მაშაშვილისა და სიმონ ჩიქოვანის, ა. აბაშელისა და ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძისა და ი. მოსაშვილის, ს. ეულის და კ. კალაძის ლექსები. ამ პოეტების სტრიქონებში იგიზგიზებს ცეცხლი იმ პატრიოტული აღტკინებისა და მტრისადმი იმ დაუცხრომელი სიძულვილისა, რომელიც გოლიათურ ძალას აძლევს ჩვენს წითელ არმიას და შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ, ალეწვინებს და ამსხვრევინებს მტრის მიერ აღმართულ რკინა-ბეტონის ზღუდეებს. შურისგების ცეცხლით აგზნებულ წითელ მებრძოლთა შეუჩერებელი სწრაფი შეტევის ტემპს გამოხატავს გალაქტიონ ტაბიძე, როცა იგი ამბობს:

სტალინის დროშით მაღალით,
სავსენი ზეშთაგონებით,
არწივნი, ვეფხვნი, ლომგულნი
მიდიან ლეგიონები.

წითელარმიელის მეომრული ღირსება — სიმამაცე, ვაჟკაცობა, ქედმოუხრელობა და თავგანწირვა სამშობლოსათვის სამამულო ომის დღეებში ნამდვილ შთამაგონებელ მუზად მოევლინა ქართველ პოეტებს. საბჭოთა მეომრის ამ მაღალი თვისებით აღაგზნო პოეტი სიმონ ჩიქოვანი საბჭოთა კავშირის გმირმა კანკავამ, რომლის ვაჟკაცობა წინ დროშად გაიძღოლეს შეტევაზე გადასულმა მებრძოლებმა და რომელსაც დღეს ქართველი მეომარი მიმართავს პოეტის ამ დაუვიწყარი სიტყვებით:

მდინარის პირად შეგვფიცე,
გადაღმა ცეცხლში გადახველ.
შენი მარჯვენის სიმტკიცე,
მტერს დაატეხე, დალახვრე,
მებრძოლთა რიგი შეჰკარი,
წინ მიუძღოდი იერიშს,
ვაშა დასძახე მჭექარი,
გიხმობდა თერგი ძლიერი!

როგორც არწივის ფრთების შრიალი, როგორც გულში ჩამწვდენი სიმღერა, ისე გაისმის მთელს საქართველოში სახელი და დიდება მისი ერთგული და უშიშარი შვილებისა. მათ შორის, ლომგულ ლურსმანაშვილისა, რომელმაც გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში დაცემულ თავის ძმებს შეჰფიცა ერთი ათად ეზღვევინებინა მტრისათვის ძმათა სისხლი და რომლის ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის გამო პოეტი ი. აბაშიძე ამბობს:

თითო ძმას არგო ათ-ათი,
ასე შეჰფიცა პირობა,
იმღერეთ საქართველოში
ლურსმანაშვილის გმირობა!

გიორგი ლეონიძე მთელი თავისი პოეტური გზნებით უმღერის წითელი არმიის რიგითი მებრძოლის ამ მომხიბლველ სულიერ სილამაზეს. პოეტის ღრმა რწმენით და მისი ფიგურალური გამოთქმით **ლენინ-სტალინის** იდეების ძალამ ომების ქარცეცხლში გამოტარებულ ქართულ ხმალზე მეტი სიბასრე და ციხე-სიმაგრეზე უფრო მეტი სიმაგრე მისცა საბჭოთა მეომრის სულს, —

გრძელი ხმლები და ციხე, ჯებირი
გადავაბარეთ გარდასულ დროსა,
როცა გაგვიძღვა გამარჯვებული
სტალინის ხელი, ლენინის დროშა.

არის რა მემკვიდრე და განმგრძობი თავის სახელოვან წინაპართა ტრადიციებისა, დღევანდელ საბჭოთა მეომარს უფრო მაღალ ხარისხში აჰყავს გმირ წინაპართა ვაჟკაცობა, სულიერი სიმტკიცე, შეუპოვრობა. ეს ჰქონდა მხედველობაში ი. გრიშაშვილს, როცა მან, საბჭოთა მებრძოლების საარაკო სიმამაცის მხილველმა და მოწმემ, ჯერ კიდევ ომის პირველ დღეებში დასწერა:

მეისტორიევ, წიგნი დახურე,
კმარა წარსულზე თქმა ამაყური;
თავი აიღე მოჭირნახულე
და ახალ გმირებს მიაპყარ ყური!

თვით პოეტი მისდევს ამ ლოზუნგს და იგი მთელი თავისი შემოქმედებით მზად არის უმღეროს იმათ, ვინც სრული თავგანწირვით იბრძოდა და იბრძვის სამშობლოსათვის და ვინაც თავის საარაკო გმირობით გააოცა მთელი კაცობრიობა. პოეტი ასე მიმართავს **სტალინის** ქალაქის უშიშარ და შეუპოვარ დამცველებს:

როგორ იბრძოდით! აი რას ნიშნავს
სტალინის ფრთისქვეშ დავაჟკაცება!
დონსა და ვოლგას, ტრამალს და ქვიშნარს
ჩემი ლექსები და აღტაცება!

სტალინგრადის, მისი დამცველი ლაშქრის შეუპოვრობა და სიმამაცე გადაიქცა ქართული საბჭოთა პოეზიის, სამამულო ომზე დაწერილ ლექსების მთავარ თემად, ლეიტმოტივად. თითქმის ყველა ქართველი პოეტი თავის შინაგან აუცილებელ მოთხოვნილებად და წმინდა მოვალეობად სთვლის გამოსთქვას თავისი მოწიწება სტალინგრადის გმირ დამცველებზე, ხოლო მათი სწორუპოვარი სიმტკიცე მისაბაძ მაგალითად დასახოს ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის. ისტორიული ბრძოლა **სტალინის** ქალაქისათვის აღიბეჭდა ალ. აბაშელის, ალიო მაშაშვილის, ირ. აბაშიძის, ხ. ვარდოშვილის გულწრფელი პათოსით და ღრმა გრძნობით დაწერილ ლექსებში. ამ პოეტებმა მიმართეს როგორც ტრადიციულს, ისე ახალ გამოსახვითს საშუალებებს, რომ ღირსეულად გადმოეცათ ის სულიერი მღელვარება, რომელსაც საბჭოთა ხალხი განიცდიდა სტალინგრადის დამცველთა საზღაპრო გმირობის გამო. ჩვენი პოეტების ღრმა რწმენით, სტალინგრადის მებრძოლების, ამ ჩაუგონარ სულიერ სიმტკიცეს ასაზრდოვებდა, როგორც პოეტი ა. აბაშელი ამბობს, დიდი სარდალის სწორუპოვარი გენია. სტალინგრადისათვის გაჩაღებულ

ბრძოლის დროს მისი ძახილი
მებრძოლთ მრავალჯერ სმენია.
სტალინგრადს მისი სახელის
ნათელი გადაჰფენია.

**სტალინის** მოწოდებამ და ძახილმა ყოველი მებრძოლი ნამდვილ დევ-გმირად აქცია, დევგმირად, რომელმაც გაუძლო ათასობით ტანკებისა და ბომბდამშენების განუწყვეტელ ყოველდღიურ იერიშს.

სამას ათასზე მეტი ყორანი
შემოესია სტალინის ქალაქს,
მაგრამ ფოლადის მძლავრი მკლავები
ელვის უსწრაფეს მოედვა რკალად.
და იყო ბრძოლა არ გაგონილი,
ცისკარზე მაღლა ენთო ხანძარი,
ფოლადის ჯართა ჯახი და ნგრევა
ზეცას ზარავდა მიწის ზანზარით.
გმირი ქალაქის კართან დაიმსხვრა
შავი აჩრდილის ურდო ქებული,
ცა გაიყინა, მიწა შეიძრა,
ქვეყანა დარჩა გაოცებული.
(ალიო მაშაშვილი)

უდიდესი ეპიური ამბის — სტალინგრადის ეპოპეის შესაფერი სიმკაცრით და სიდინჯით ლაპარაკობს ხ. ვარდოშვილი გმირთა იმ თაობაზე, რომელმაც სტალინგრადის შეუპოვარი დაცვით უკვდავჰყო საბჭოთა მეომრის სახელი:

გაივლის ჟამი, დადუმდება ცეცხლის
ზღვაობა,
აკაშკაშდება ლურჯი ზეცა, სხივის
მსხველი,
ვაჟკაც ქალაქის ლეგენდალურ
გამბედაობას
მარად აცოცხლებს გმირი სტალინის
დიდი სახელი.

სტალინგრადის გამარჯვება გახდა სათავე წითელი არმიის იმ ძლევამოსილი შეტევისა, რომელიც სულ მოკლე ხანში საბჭოთა ქალაქების, სამხედრო თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ქალაქების როსტოვის, ხარკოვის და ვოროშილოვგრადის უკან დაბრუნებით დაგვირგვინდა. საბჭოთა პატრიოტის ის განუსაზღვრელი სიხარული, რომელიც ამ მშობლიური ქალაქების აღების ცნობამ აღძრა ღრმა ემოციური სტროფებით გამოხატეს ირ. აბაშიძემ და ალიო მაშაშვილმა, ამ ქალაქების აღების გამო დაწერილ ლექსებში. ლექსში „როსტოვი ჩვენია“ ალიო მაშაშვილი ამაყობს იმით, რომ

ტყვიით, მახვილით ერთად იბრძოდნენ
იქ საქართველოს გმირი შვილებიც,
ცეცხლში იწვოდნენ, წინ მიიწოდნენ
ქარიშხალივით წამოშლილები.

უსაზღვრო სიყვარული სამშობლოს თავისუფლებისათვის მამაცურად მებრძოლი, დიდი საკაცობრიო მისიის შესასრულებლად მოწოდებული წითელი არმიისადმი, ურყევი რწმენა მის ძლევამოსილებასა და გამარჯვებაში არის მთავარი და ძირითადი, რაც ასულდგმულებს დღეს მთელს საბჭოთა პოეზიას. ჩვენს ხალხს ღრმად სწამს, რომ წითელი არმია, რომელიც დღეს თავისი სახელოვანი არსებობის 25 წლისთავს აღნიშნავს, ბრწყინვალედ შეასრულებს თავის ამ დიად მისიას, რომ წითელი არმიის სახით, პოეტ. ალ. აბაშელის სიტყვით, დასავლეთისაკენ ამჟამად

მიდის სასტიკი შურისმგებელი,
მტრის შემზარავი და შემაძრწოლი.
მიდის მებრძოლი და მსჯავრმდებელი,
მიაქვს ხმალი და მიაქვს სასწორი.
მას ყველაფერი აღნუსხული აქვს,
რაც ყაჩაღებმა აქ ჩაიდინეს:
რამდენი მსხვერპლი დამარხულია,
რამდენი დედა მწარეთ ქვითინებს.

ამ სასწორით ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია სრული სიზუსტით აღნუსხავს ფაშისტ მტარვალთა ბნელ საქმეებს, ხოლო ხმალი ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს მათ არსებობას. რომ წითელი არმია ამას შესძლებს, ამის უტყუარი თავდებია მისი გაუტეხელი შეუპოვრობა, სიმამაცე და ვაჟკაცობა, რომელიც მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა სტალინგრადის ეპოპეის დროს და რომელიც ასეთი პათოსით აღიბეჭდა საბჭოთა პოეზიაში.

**სარედაქციო კოლეგია:**
**ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.**

**რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 8—47—10.**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 0077